

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თინიკო ქუთათელაძე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი :

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითადი საკითხები
შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ მაგალითზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მარინა მაისურაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

ანოტაცია

ფინანსური ანგარიშგებაში მოცემულია ისტორიული ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგებისა და ჩანაწერების შესახებ. მასში ასახულ ინფორმაციას ინვესტორები, კრედიტორები და ანალიტიკოსები კომპანიის შესაფასებლად იყენებენ. ინფორმაციის ძირითადი ნაწილი რომელიც წარდგენილია ანგარიშგებაში მოითხოვება კანონის ან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიერ. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საშუალებას, რისი მეშვეობითაც კომპანიის უფროსი მენეჯერები აცნობენ სხვა პირებს წარსული შედეგებისა და სამომავლო მოლოდინების შესახებ. ანგარიშგების გამოქვეყნებით, მენეჯერები ამყარებენ კომუნიკაციას ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან როგორებიცაა: ინვესტორები, მედია, ინდუსტრიის ანალიტიკოსები და აცნობენ მათ არსებული მიღწევების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს შესაბამისი იმ მიზნებისთვის, რისთვისაც იგი მზადდება. არასაჭირო და ორაზროვანი ინფორმაცია უმჯობესია არ იყოს ჩართული ანგარიშგებაში და მხოლოდ შესაბამისი და არსებითი მონაცემები იყოს გამჟღავნებული მისი მომხმარებლებისთვის. ანგარიშგება უნდა ასახავდეს ყოვლისმომცველ და ზუსტ ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შედეგების, მდგომარეობის, პროგრესის და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია რომ ის პირები, რომლებიც ჩართული არიან მის მომზადებაში იყონ ობიექტურები და თავს უფლება არ მისცენ რომ პერსონალურმა მოსაზრებებმა მათზე გავლენა მოახდინოს.

ბიზნეს ოპერაციების მოცულობისა და კომპლექსურობის ზრდასთან ერთად, იზრდება ერთიანი მიდგომის როლი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებთან მიმართებაში.

Annotation

Financial Statements basically show the historical performance or record of the company at some previous point of time. It provides financial information that investors, creditors and analysts use to evaluate a company's financial performance. A good deal of the information presented in a financial report is required by law or by accounting standards. The company's financial statements are important tools for senior managers to communicate past successes as well as future expectations. By publishing financial statements, management can communicate with interested outside parties, such as investors, the news media and industry analysts about its accomplishments running the company.

The Financial Statements should be relevant for the purpose for which they are prepared. Unnecessary and confusing disclosures should be avoided and all those that are relevant and material should be reported to the public. They should convey full and accurate information about the performance, position, progress and prospects of an enterprise. It is also important that those who prepare and present the financial statements should not allow their personal prejudices to distort the facts.

Increase in size and complexities of factors affecting the business operations necessitate a unitary approach to preparation and presentation of financial statements in modern business enterprises.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის კონცეფციები და ძირითადი პრინციპები	6
1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, წარდგენის მიზანი და ძირითადი მომხმარებლები	6
1.2 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება	12
თავი 2. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	19
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	19
2.2 სრული შემოსავლების ანგარიშგება	41
2.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	46
2.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება	47
დასკვნა	50
გამოყენებული ლიტერატურა	51

შესავალი

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთ–ერთი ძირითადი გზა იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში.

თანამედროვე ეტაპზე აქტუალურ პრობლემად განიხილება ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება, რამეთუ მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია ზრდის გამჭვირვალობას, აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, სამეწარმეო გარემოსა და ეკონომიკური სუბიექტებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ხარისხობრივ მახასიათებლებს.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაზრდილია, რადგანაც ზოგიერთ კომპანიას აქვს წვდომა ფასიანი ქაღალდების უცხოურ ბაზარზე და შეუძლია დაფინანსების მოზიდვა საქართველოს ფარგლებს გარედანაც. ასე რომ, სასურველია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებულ იქნეს როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის „ძირითადი წესების“ სისტემა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. კვლევის ობიექტია შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება და გასული წლის შესადარისი ინფორმაცია.

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის კონცეფციები და ძირითადი პრინციპები

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, წარდგენის მიზანი და ძირითადი მომხმარებლები

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს. ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის წარდგენა იმგვარად რომ იგი სასარგებლო იყოს მომხმარებელთა ფართო წრეებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება აგრეთვე გვიჩვენებს საწარმოს მენეჯმენტის მიერ რესურსების გამოყენების ეფექტურობას.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც შემოკლებით ხშირად ფინანსურ ანგარიშგებად მოიხსენიებენ, გამიზნულია ისეთი მომხმარებლებისთვის, რომელთაც საკმარისი გავლენის ან დაინტერესების არ არსებობის გამო არ შეუძლიათ რომ საწარმოს მოსთხოვონ საკუთარ საინფორმაციო მოთხოვნილებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება.

მსოფლიოში ბევრი კომპანია წარუდგენს როგორც გარე, ასევე შიდა მომხმარებლებს ფინანსურ ანგარიშგებას. მართალია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების ძირითადი ნაწილი ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მათ შორის მაინც რჩება გარკვეული განსხვავებები, რისი უგულებელყოფაც არ შეიძლება. სხვაობა განპირობებულია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორებით. სხვაობის გამომწვევია ისიც რომ სხვადასხვა ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შექმნისა და დანერგვის პროცესზე გავლენას ახდენენ სხვადასხვა

დაინტერესებული ჯგუფები, მაგალითად : მთავრობა, მსხვილი საბანკო დაწესებულებები, დარგის ლიდერი კომპანიები და ა.შ.

ზემოთხსენებულმა ფაქტორებმა გამოიწვია მრავალფეროვნება როგორც ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებებში, ასევე განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება მისი მუხლების აღიარებისა და შეფასების დროს.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) საქმიანობის მიზანია, შეამციროს აღნიშნული განსხვავებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესების, პროცედურებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის მეშვეობით. მას მიაჩნია, რომ ჰარმონიზაციის მიღწევის საუკეთესო გზაა ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელ ფინანსურ ინფორმაციაზე.

საბჭოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიზნების გათვალისწინებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნილებებს.

ამავე დროს ბასსს აღიარებს, რომ ცალკეული ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ განსხვავებული ან დამატებითი მოთხოვნების ფორმულირება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ისე, რომ ცვლილებები და დამატებები არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ინტერესებს, სხვა ჯგუფის ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების ხარჯზე.

ფინანსური ანგარიშგება გასაგებად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გამოკვეთილი იმავე ოფიციალურ დოკუმენტში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციისაგან. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ისევე როგორც განმარტებითი შენიშვნა გარკვევით უნდა იყოს წარმოჩენილი. გარდა ამისა, აუცილებელია ანგარიშგება მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას :

- ▶ კომპანიის დასახელება ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და გასული პერიოდის დამთავრების შემდეგ აღნიშნულ ინფორმაციებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;
- ▶ ინფორმაცია იმის შესახებ ანგარიშგება ერთ კომპანიას ეხება თუ ჯგუფს;
- ▶ ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი;
- ▶ პრეზენტაციის (წარდგენის) ვალუტა;
- ▶ წარდგენილი რიცხობრივი მონაცემების სიზუსტე

ხშირად ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხვები დამრგვალებულია ათასამდე ან მილიონამდე და შედეგად მონაცემები უფრო ადვილად აღქმადია. აღნიშნული მიდგომა მისაღებია, რადგან რიცხვების სიზუსტის ხარისხი ანგარიშგებაში დეტალურადაა განმარტებული თითოეული ცხრილის დასაწყისში ბუნდოვანების და გაურკვევლობის თავიდან ასარიდებლად. გარდა ამისა, მონაცემების ათასზე ან მილიონზე გაყოფით მათი შესადარისობა არ იცვლება და ამგვარად წარდგენილი ანგარიშგება არანაკლებ სასარგებლოა მომხმარებლებისთვის.

შეიძლება ითქვას რომ ფინანსური ანგარიშგება არის ინფორმაციის სპეციფიური წყარო, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც კომპანიის შიგნით (მმართველობითი გადაწყვეტილება), ისე მის გარეთ (საინვესტიციო გადაწყვეტილება). იგი ასრულებს შემდეგ ზოგად ფუნქციებს :

- ▶ დაგეგმვა
- ▶ კონტროლი
- ▶ შეფასება

დაგეგმვა - გულისხმობს მიზნების დასახვას, მათი მიღწევის გზების ძიებას და ალტერნატივებიდან საუკეთესოს ამორჩევას. ამ ეტაპზე კომპანიის ფინანსური მენეჯმენტი უყურებს რა გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგებას, ადგენს ცვლილებათა მიმართულებებს, ტენდენციებს და ამის საფუძველზე განსაზღვრავს მიმდინარე წლის ბიუჯეტს.

კონტროლი - თავის მხრივ, შედგენილი ბიუჯეტი ხელმძღვანელობას გეგმის შესრულების პროცესზე მეთვალყურეობის საშუალებას აძლევს. ბიუჯეტის შედგენას აქვს როგორც პრევენციული, ისე აღმოჩენი (Detection) ფუნქცია. მაგალითად, თუ წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გეგმიდან გადახვევას ფინანსური მენეჯერი გამოიკვლევს გადაცდენის მიზეზებს და დანერგავს საჭირო პროცედურებსა და პროცესებს რათა აღნიშნული შემთხვევა აღარ განმეორდეს.

შეფასება - ამ ეტაპზე, საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ისტორიული მონაცემების საფუძველზე დგინდება მიაღწია თუ არა კომპანიამ დასახულ მიზანს. ირკვევა შემაფერხებელი ფაქტორები, რამაც ხელი შეუშალა მას.

შეგვიძლია გამოვყოთ 3 ძირითადი და ყველაზე გავრცელებული მიზეზი თუ რატომ

შეიძლება კომპანიამ ვერ მიაღწიოს სასურველ შედეგს :

- ▶ ნაკლოვანებები დაგეგმვის პროცესში
- ▶ ნაკლოვანებები კონტროლის პროცესში
- ▶ არასწორი მიზნის დასახვა

ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების უპირველესი დანიშნულება მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მომხმარებელთა ჯგუფების დეტალური განხილვა, მათი ინტერესის სფეროს კონტექსტში. ისინი შეგვიძლია ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: ძირითად მომხმარებლებად და სხვა მომხმარებლებად.

ძირითადი მომხმარებლები ფინანსური ინფორმაციაზე დაყრდნობით დებულობენ სხვადასხვა ხასიათის გადაწყვეტილებებს. ბუნებრივია, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად მათ სჭირდებათ დროული, ზუსტი და სრული ინფორმაცია. ძირითად მომხმარებლებს უშუალოდ აინტერესებთ საწარმოს საქმიანობა. მათ მიეკუთვნება:

- ▶ აქციონერები
- ▶ საკრედიტო დაწესებულებები
- ▶ მომწოდებლები
- ▶ მომხმარებლები
- ▶ დაქირავებით მომუშავეები

აქციონერები აფასებენ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ რესურსების გამოყენების ეფექტურობას, რისკს რომელიც თან ახლავს ინვესტიციებს და იღებენ გადაწყვეტილებას გაყიდონ, შეინარჩუნონ თუ იყიდონ კომპანიის აქციები.

საკრედიტო დაწესებულებები (ბანკები) ადგენენ კრედიტის გამოყოფის მიზანშეწონილობას და დაკრედიტების პირობებს.

მომწოდებლებს და სხვა სავაჭრო კრედიტორებს აინტერესებთ დროულად შეძლებენ თუ არა კუთვნილი თანხების ამოღებას. როგორც წესი, მათი თვალთახედვის არე უფრო ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, განსხვავებით საკრედიტო დაწესებულებებისგან.

მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან კომპანიის ოპერაციების უწყვეტობით, რადგან ხშირად მათ ორგანიზაციასთან აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა და დიდწილად დამოკიდებულნი არიან მასზე.

დაქირავებით მომუშავეებს აინტერესებთ დამქირავებლის ფინანსური სიძლიერე და სტაბილურობა. ასევე, კომპანიის შესაძლებლობა მოახდინოს ხელფასებისა და სხვა განაცემების დროული გადახდა, კარიერული წინსვლის

ხელშეწყობა, ხელფასების დონის ადეკვატურობის უზრუნველყოფა შრომის ბაზართან მიმართებით და სხვა.

ინფორმაციის მომხმარებელთა მეორე ჯგუფი უშუალოდ არ არის დაინტერესებული კომპანიის ოპერაციებით, მაგრამ მათ ინფორმაცია სჭირდებათ რათა უზრუნველყონ კანონმდებლობასთან შესაბამისობა და დაიცვან მომხმარებელთა პირველი ჯგუფის ინტერესები. მათ მიეკუთვნება :

- ▶ მთავრობები და მათი უწყებები
- ▶ აუდიტორული ფირმები
- ▶ საფინანსო და სტატისტიკური ორგანოები
- ▶ პროფკავშირები
- ▶ საინფორმაციო სააგენტოები
- ▶ საზოგადოება

1.2 ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის წარმოებისას კომპანიის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა მის ორგანიზაციას უნარი რომ საქმიანობა გაგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

თუ კომპანიის მენეჯმენტს არ აქვს განზრახული იურიდიული პირის ლიკვიდაცია ან საქმიანობის მასშტაბების მნიშვნელოვნად შეკვეცა, ან თუ ის მისგან დაუძლეველი მიზეზების გამო იძულებული არ არის რომ ამგვარად მოიქცეს, ფინანსურ ანგარიშგებას მოამზადებს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით.

თუ შეფასების პროცესში მმართველებისთვის ცნობილი გახდება მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები (Material Uncertainties), რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს რომ იმოქმედებს საწარმოს შესაძლებლობაზე გაგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მათ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნონ აღნიშნული გარემოება.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების სისწორის შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საწარმოს მომავალ საქმიანობასთან. სასურველია რომ მსგავსი ინფორმაცია მოიცავდეს მინიმუმ 12 თვეს საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, თუმცა ეს მხოლოდ რეკომენდაციაა და კონკრეტული სიტუაციისა და ფაქტების გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს და გადაიხედოს.

თუ გასული პერიოდის განმავლობაში კომპანია მუდმივად იყო მომგებიანი და მიმდინარე წელს რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია,

ფუნქციონირებადობის დაშვება შეიძლება გაკეთდეს დეტალური ანალიზის გარეშე.

ხოლო თუ კომპანიას წარსულში მსგავსი ძლიერ ფინანსური სურათი არ ჰქონია, ფინანსური ანგარიშგებისთვის ფუნქციონირებადობის საფუძველი შესაფერისად რომ ჩაითვალოს, მენეჯმენტს შეიძლება დასჭირდეს უამრავი ფაქტორის შეფასება და გათვალისწინება, მათ შორის: კომპანიის არსებული და სამომავლო მოგებიანობის, აღებული სესხების დაფარვის გრაფიკების და დამატებითი დაფინანსებს მოზიდვის შესაძლებლობა.

ფინანსური ანგარიშგება ფულადი ნაკადების ანგარიშგების გარდა, უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. დარიცხვის მეთოდი ნიშნავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი მოხდენისას, და არა იმის მიხედვით, თუ როდის ჰქონდა ადგილი თანხის ფაქტიურ მიღებას ან გადახდას. ე. ი. დარიცხვის მეთოდი გულისხმობს შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი წარმოქმნის მომენტის მიხედვით. ისინი ბუღალტრულ აღრიცხვაში რეგისტრირდება და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც რეალურად განეკუთვნება.

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების სა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში.

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის შესადარისი ინფორმაცია) უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც. როდესაც საწარმო ცვლის საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღს და წლიურ

ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ერთ წელიწადზე ნაკლებ ან მეტ დროში, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა მიუთითოს ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი და გააკეთოს შემდეგი დამატებითი განმარტებები:


- ▶ მიზეზი, რატომ გამოიყენა ერთი წელიწადისაგან განსხვავებული პერიოდი;
- ▶ განმარტება, თუ რატომ არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები შესაძარისი.

ჩვეულებრივ, ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველ წელს, სისტემატურად. თუმცა, ზოგიერთი კომპანიისთვის უფრო მოსახერხებელია ანგარიშგების წარმოება 52-კვირიანი პერიოდით. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ ეწინააღმდეგება ამგვარ პრაქტიკას.

სასურველია ფინანსური ანგარიშგებაში ნაჩვენები მუხლები კლასიფიკაცია შენარჩუნდეს წლიდან წლამდე, ისე როგორც და წარდგენის ფორმა გარდა გამონაკლისებისა, როცა:

- ▶ ადგილი აქვს კომპანიის საქმიანობის შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებას
- ▶ ფინანსური ანგარიშგების ანალიზით ირკვევა რომ სხვაგვარი წარდგენა უფრო სამართლიანი იქნებოდა
- ▶ სტანდარტში შესული ცვლილება, ან ახალი სტანდარტი მოითხოვს რომ შეიცვალოს წარდგენა

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ძირითადი პრინციპების ჩამონათვალი შემდეგნაირია: ფუნქციონირებადი საწარმო, სამართლიანი წარდგენა, წარდგენის პერიოდულობა, და წარდგენის უცვლელობა.



იმისთვის რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება, აუცილებელია რომ ფინანსური ინფორმაცია იყოს სასარგებლო. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სარგებლიანობას განსაზღვრავს მისი ხარისხობრივი მახასიათებლები - თვისებები. ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის მომზადება და წარდგენა რომელიც სასარგებლო იქნება არსებული და სამომავლო ინვესტორებისთვის, საბანკო დაწესებულებებისთვის, მომხმარებლებისთვის, კრედიტორებისთვის და სხვა პირებისთვის. აღსანიშნავია რომ ხარისხობრივი მახასიათებლები არ ეხება მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას, იგი ასევე მოიცავს სხვა ფორმით, მაგალითად განმარტების სახით წარდგენილ ინფორმაციასაც.

ხარისხობრივი მახასიათებლები მოიცავს, ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებს და ხარისხობრივ მახასიათებლებს რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას.

ფინანსური ინფორმაციას აქვს 2 ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელი:

- ▶ შესაბამისობა (Relevance)
- ▶ სამართლიანი წარდგენა (Faithful Representation)

ინფორმაცია რომ სასარგებლოდ მივიჩნიოთ, იგი უნდა იყოს ერთდროულად შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი. თუ ინფორმაცია აცდენილია

ეკონომიკურ მოვლენების შესაბამის შინაარსს, მაგრამ სამართლიანად არის წარდგენილი, ან თუ იგი შესაბამისია მომხდარი ოპერაციების მაგრამ არასამართლიანად წარმოაჩენს მას იგი ვერ იქნება სასარგებლო მომხმარებლისთვის. მეტიც მან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს დაინტერესებული პირები და უბიძგოს არასწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისკენ.

ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს :

პირველ ეტაპზე დგინდება ისეთი ოპერაციები და მოვლენები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის.

მეორე ეტაპზე დგინდება თუ რა ტიპის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი მოცემულ სიტუაციაში, და თუ იგი იარსებებდა შევძლებდით თუარა მის სამართლიან წარდგენას.

მესამე ეტაპზე განისაზღვრება მოიპოვება თუ არა კომპანიაში მსგავსი ტიპის ინფორმაცია და თუ პასუხი დადებითია, აქ დასრულდება შეფასების პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დაიწყება თავიდან და განმეორდება სხვა ტიპის ინფორმაციასთან მიმართებაში.

ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებს შესაბამისი და სამართლიანად წარმოდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობა არის :

- ▶ შესადაარისობა;
- ▶ შემოწმებადობა;
- ▶ დროულობა;
- ▶ აქტუალობა.

სასურველია რომ კომპანიებმა შეძლონ მიაღწიონ შესაბამისობა ინფორმაციის ზემოთხსენებულ ხარისხობრივ მახასიათებლებთან, რომლებიც ამაღლებენ მის სარგებლიანობას. თუმცა, აღნიშნული მახასიათებლები, ვერც ერთობლივად და ვერც ინდივიდუალურად ვერ გახდის ინფორმაციას

სასარგებლოს, თუ ეს ინფორმაცია არ დააკმაყოფილებს ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებს, ანუ არ იქნება შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი.

წინასწარ რთულია იმის თქმა რომელ მახასიათებელს მიენიჭება უპირატესობა, ვინაიდან ეს ისეთი პროცესია რომელიც დადგენილ წესებს არ ექვემდებარება. ზოგჯერ, შეიძლება მოხდეს რომელიმე ხარისხობრივი მახასიათებლის შემცირება მეორის მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, როდესაც ახალ სტანდარტს პერსპექტიულად ვიყენებთ შეიძლება დროებით შემცირდეს შესადარისობის ხარისხი, რაც გამართლებული ნაბიჯია ინფორმაციის შესაბამისობისა და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად უფრო გრძელვადიან პერიოდში.

დანახარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი შეზღუდვაა. უდავოა ის ფაქტი რომ ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენას სჭირდება გარკვეული დანახარჯები. უდიდესი მნიშვნელობა ამ დროს აქვს იმას რომ აღნიშნული დანახარჯები გამართლებული იყოს, რაც გულისხმობს იმას რომ ინფორმაციის წარდგენით მიღებული სარგებელი უნდა აღემატებოდეს მასზე გაწეულ დანახარჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯი გაუმართლებელი იქნებოდა და მის მომზადებაზე არც კომპანიის თანამშრომელთა დრო დაიხარჯებოდა და არც რესურსები. განვიხილოთ რამდენიმე ტიპის დანახარჯი, რომელიც სასურველია გათვალისწინებულ იყოს ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას.

- ინფორმაციის შეგროვების ხარჯი
- ინფორმაციის დამუშავების ხარჯი
- ინფორმაციის შემოწმების ხარჯი
- ინფორმაციის გავრცელების ხარჯი
- ინფორმაციის გაანალიზებისა და ინტერპრეტაციის ხარჯი

შეიძლება ითქვას რომ საბოლოო ჯამში, ამ დანახარჯების მატარებლები მაინც მომხმარებლები გამოდიან, რადგან თუ მათ არ მიეწოდებათ აუცილებელი

ინფორმაცია, მოუწევთ ალტერნატიული წყაროების მოძიება და დამატებითი დანახარჯების გაწევა, რათა საჭირო ინფორმაცია დროულად და სრულად მოიპოვონ.

ისეთი ანგარიშების მიწოდება, რომელიც შესაბამისია განხორციელებული მოვლენების და სამართლიანად წარმოაჩენს მათ ინფორმაციის მომხმარებლებს თავდაჯერებულობას მათებს გადაწყვეტილებების მიღების დროს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთულია და არაპრაქტიკული რომ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავდეს ყველა სახის ინფორმაციას კომპანიის შესახებ, რომელიც თითოეული მომხმარებელისთვის შესაფერისი იქნება.

როდესაც საბჭო ფინანსური ანგარიშგების ახალ სტანდარტზე მუშაობს, იგი აუცილებლად ითვალისწინებს დანახარჯებთან დაკავშირებულ შეზღუდვებსაც და მოსაზრებების გამოსათქმელად მიმართავს: პირებს რომლებიც ამზადებენ და წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებებს, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს, აუდიტორებს, და სხვა დაინტერესებულ პირებს.

სხვადასხვა პირთა შეფასებები ბუნებრივია განსხვავებული იქნება შეფასების პროცესის დროს. განსხვავებების არსებობა მისაღებია კომპანიების ზომის, ოპერაციების კომპლექსურობის, კაპიტალის მოზიდვის სხვადასხვა შესაძლებლობების, მომხმარებელთა განსხვავებული მოთხოვნილებების და სხვა მრავალი ფაქტორის გამო.

თავი 2. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქართველოში ფუნქციონირებს ორი საკონტეინერო ტერმინალი ბათუმისა და ფოთის პორტებში. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“ ან “ტერმინალი“), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კორპორაცია ICTSI-ს ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, საქართველოში ოპერირებს 2007 წლიდან და მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია საერთაშორისო გადაზიდვებთან და საკონტეინერო/საბორნე ოპერაციებთან. კომპანიის დამფუძნებელ კორპორაციას გაფორმებული აქვს 48 წლიანი კონცესიის ხელშეკრულება. შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ამჟამავეს საკონტეინერო ტვირთებს მე-4 და მე-5 ნავმისადგომზე, ხოლო საბორნე ოპერაციები მიმდინარეობს მე-6 ნავმისადგომზე.

International Container Terminal Services, Inc. არის კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი და გლობალური საბოლოო მშობელი კომპანია. მშობელი კომპანია არის გლობალური მართვის კომპანია, რომლის სათაო ოფისი

მდებარეობს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში და რეგისტრირებულია ფილიპინების საფონდო ბირჟაზე.

მშობელი კომპანიის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება: კონტეინერების ტერმინალის შექმნა, ეფექტური მართვა და განვითარება, ოპერაციების წარმოება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ტერმინალთა ძლიერი ქსელის შექმნა. კომპანია ICTSI ფილიპინებში 1987 წელს დაფუძნდა და მალევე და გახდა დარგიში პიონერი და ინოვატორი.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურში BICT მართავს საბორნე, საკონტეინერო, გენერალური ტვირთების ტერმინალს და თავისი სტრატეგიული მდებარეობით წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო-სავაჭრო კვანძს შავი ზღვის აუზში.

საბორნე და გენერალური ტვირთების ტერმინალი განლაგებულია მე-6 ნავმისადგომზე, რომლის სიღრმე 8 მეტრია, ხოლო სიგრძე - 183 მეტრი. საბორნე მიმოსვლა ძირითადად ხორციელდება უკრაინის და ბულგარეთის მიმართულებით. კონტეინერების ტვირთის ჩამოტვირთვა და დატვირთვა ხორციელდება მე-4 და

მე-5 ნავმისადგომზე, სიგრძე 284 მეტრია, ხოლო სიღრმე-11 მეტრი. კონტეინერების ჩამოტვირთვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებიდან, მისთვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე წინასწარ მომზადებული მუშახელის მიერ ხორციელდება.

საკონტეინერო ტვირთების სწრაფი და ეფექტური მომსახურება ხორციელდება თანამედროვე ტიპის მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებისა და საოპერაციო სისტემების გამოყენებით. გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზი) ახორციელებს ტვირთების განბაჟებას ერთი ფანჯრის პრინციპით. საბაჟო ოფისებისა და ბანკების განლაგება ტერმინალის ტერიტორიაზე ტვირთის სწრაფი განბაჟებისა და გატანის შესაძლებლობას იძლევა.

კომპანია მუდმივად არის განვითარების პროცესში. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სატერმინალო მომსახურების დახვეწის, განვითარების და

გაფართოების მიმართულებით, რათა ტერმინალის მიერ გასაწევი მომსახურება მიმზიდველი გახდეს კლიენტებისათვის და საზღვაო ხაზებისათვის. დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა ტერმინალის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, რაც გულისხმობს სატერმინალო ტერიტორიის კეთილმოწყობას და დამატებითი ლოჯისტიკური და სასაწყობე ფართების მშენებლობას, რაც საშუალებას მისცემს ტერმინალს გაზარდოს არსებული გამტარუნარიანობა.

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას, არაარსებითია.

ბათუმის საკონტეინერო ტერმინალის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და მისი სრული პაკეტი მოიცავს :

- ▶ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის (იხ. ცხრილი № 1);
- ▶ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას (იხ. ცხრილი № 6);
- ▶ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას (იხ. ცხრილი № 8);
- ▶ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (იხ. ცხრილი № 7);
- ▶ განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ტერმინალის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა

კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის სამუშაო ვალუტა აშშ დოლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ცხრილი № 1

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული*)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	17,653,098	17,862,355
არამატერიალური აქტივები	296,979	611,995
აქტივის გამოყენების უფლება	20,962,081	20,904,128
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	3,452,839	–
	42,364,997	39,378,478
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,091,954	1,074,397
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,021,369	1,148,180
გადახდილი ავანსები	450,622	569,360
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,278,911	2,636,964
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,707,017	2,489,703
	18,549,873	7,918,604
სულ აქტივები	60,914,870	47,297,082
კაპიტალი		

საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	19,409,102	7,368,375
საკურსო სხვაობის რეზერვი	645,093	(71,814)
	20,054,395	7,296,761
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	32,485,457	31,249,036
დაკავშირებულ მხარისთვის გადასახდელი თანხები	422,048	–
	32,907,505	31,249,036
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,372,766	4,234,705
მოგების გადასახადის დავალიანება	1,584,161	1,493,601
ანარიცხები	2,996,043	3,022,979
	7,952,970	8,751,285
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	60,914,870	47,297,082

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალი“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივები არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსული მომხდარი მოვლენების შეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. აქტივები განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, ხელი შეუწყოს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. ფულადი სახსრების შემოსვლა შესაძლოა განხორციელდეს, როგორც აქტივის გამოყენების, ასევე საწარმოდან მისი გასვლის შედეგად.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი. ვალდებულებებისთვის დამახასიათებელია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან

მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

- ▶ ფლობის ძირითადი მიზანი ვაჭრობაა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ტერმინალის მიმდინარე აქტივები მოიცავს:

- ▶ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს;
- ▶ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს;
- ▶ გადახდილ ავანსებს;
- ▶ წინასწარ გადახდილ გადასახადებს;
- ▶ ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს

ტერმინალის გრძელვადიანი აქტივები მოიცავს:

- ▶ ძირითად საშუალებებს;
- ▶ გამოყენების უფლების მქონე აქტივს;
- ▶ არამატერიალურ აქტივებს;
- ▶ გრძელვადიან აქტივებში გადახდილ ავანსებს;

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ტერმინალის მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს:

- ▶ სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებს;
- ▶ მოგების გადასახადის დავალიანებას;
- ▶ ანარიცხებს

ტერმინალის გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს:

- ▶ სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებს;
- ▶ დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელ თანხებს

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ცხრილი № 2

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ძირითადი საშუალებები

	საიჯარო უფლებები და გაუმჯობესებები	საპორტო დანადგარები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	სატრან-პორტო აღჭურვილობა	სხვადასხვა აღჭურვილობა	დაუმთავ-ებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	14,327,572	31,692,292	1,373,104	935,301	352,415	174,975	48,855,659
შესყიდვები	829,814	-	19,257	122,245	4,874	839,156	1,815,346
გასვლები	-	-	-	(183,687)	-	-	(183,687)
გადატანი ძირითად საშუალებებზე	-	-	-	-	-	(721,766)	(721,766)

2018 წლის 31 დეკემბერი	15,157,386	31,692,292	1,392,361	873,859	357,289	292,365	49,765,552
<i>დაგროვილი ცვეთა</i>							
2017 წლის 31 დეკემბერი	9,013,904	19,460,440	1,327,152	898,997	292,811	–	30,993,304
წლის ცვეთა	760,813	911,913	35,109	31,555	31,966	–	1,771,356
გასვლები	–	–	–	(176,423)	–	–	(176,423)
საკურსო სხვაობა	(204,353)	(244,938)	(9,430)	(8,476)	(8,586)	–	(475,783)
2018 წლის 31 დეკემბერი	9,570,364	20,127,415	1,352,831	745,653	316,191	–	32,112,454
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>							
2017, 31 დეკემბერი	5,313,668	12,231,852	45,952	36,304	59,604	174,975	17,862,355
2018, 31 დეკემბერი	5,587,022	11,564,877	39,530	128,206	41,098	292,365	17,653,098

ძირითადი საშუალებები ტერმინალის ქონების უმნიშვნელოვანეს და უმეტეს ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სისწორე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინფორმაციის საიმედოობას მთლიანად კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ტერმინალის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ალტერნატიული მიდგომა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების ობიექტების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით, შემდგომი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, გადასახადს რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, საჭიროების ადგილზე აქტივის მიტანისა და ობიექტის გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანის პირდაპირ დანახარჯებს. თვითღირებულება მოიცავს ძირითადი

საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთის გამოთვლისას კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რომლის დროსაც ცვეთის წლიური თანხა განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულების და ამ ობიექტის სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით გაანგარიშებული ცვეთის ნორმით.

ტერმინალის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები, ჯგუფების მიხედვით შემდეგია :

	წელი
საიჯარო აქტივები და მათი კეთილმოწყობა	5-48
საპორტო დანადგარები და მოწყობილობები	5-25
სატრანსპორტო დანადგარები	3-5
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	3-5
სხვადასხვა აღჭურვილობა	5 წლამდე

ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი მარტივი და ტრადიციული მეთოდია, მაგრამ იგი არ ასახავს ძირითადი საშუალებების ობიექტის საექსპლუატაციო მახასიათებლების ცვლილებას დროთა განმავლობაში. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია ძირითადი საშუალებების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ პროდუქციის წარმოებაში, აქვთ

სასარგებლო გამოყენების ხანგრძლივი ვადა და რომელთა ფიზიკური მდგომარეობა

უარესდება შედარებით თანაბარზომიერად. ასე რომ, ცვეთის გაანგარიშებისას აღნიშნული მეთოდის გამოყენება ბათუმის საკონტინერო ტერმინალისთვის გამართლებულია.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად. ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

იჯარის აღრიცხვა. კომპანიამ ვადაზე ადრე მიიღო ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ 2018 წლის 1 იანვრიდან. ფასს (IFRS) 16 გამოიყენა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლა ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“.

სტანდარტი ნებას რთავს მოიჯარეს არ გამოიყენოს მისი მოთხოვნები მოკლევადიანი და ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომლის საიჯარო აქტივსაც დაბალი ღირებულება აქვს. ბათუმის საკონტინერო ტერმინალი არ ფლობს მსგავს იჯარას.

2007 წლის 20 სექტემბერს კომპანიამ გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელმა კომპანიას იჯარით გადასცა 113,431 კვადრატული მეტრი მიწა, მათ შორის მე-4, მე-5 და მე-6 ნავმისადგომებისა და მიმაგრებული უძრავი ქონების ჩათვლით, 48 წლის ვადით. ხელშეკრულების თანახმად, „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო

ტერმინალს“ უნდა ჰქონოდა მე-4, მე-5 და მე-6 ნავმისადგომებზე ხომალდების დაბუქსირების კონტროლის უფლება, ამასთან მოიჯარე პასუხს აგებს ქონების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე. 2011 წლის 2 ნოემბრიდან, ვადის ამოწურვამდე ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალმა ბათუმის საზღვაო ნავსადგურს წლიურად უნდა გადაიხადოს 779,000 აშშ დოლარი, რომელიც დაკორექტირდება კლიენტის ფასების კოეფიციენტით, ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის სამომხმარებლო ფასების ინდექსით, ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად.

ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ თანახმად, საწარმომ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სტანდარტის ან ინტერპრეტაციის თავდაპირველი დანერგვით, როდესაც შესაბამისი სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ შეიცავს შესაბამის გარდამავალ დებულებებს ან ცვლილება ნებაყოფლობითია. ამ სტანდარტის მიზნებისათვის, სტანდარტის ან ინტერპრეტაციის ვადაზე ადრე გამოყენების დაწყება არ წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით ცვლილებას.

რეტროსპექტულად გამოყენება არის ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის იმდაგვარი გამოყენება ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ, თითქოს ეს პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა. რეტროსპექტულად გადაანგარიშება კი არის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების თანხების აღიარების, შეფასებისა და განმარტებების გასწორება იმგვარად, თითქოს წინა პერიოდში შეცდომა არასოდეს დაშვებულია.

როდესაც საწარმო ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას რეტროსპექტულად იყენებს, იგი გამოიყენებს ახალ სააღრიცხვო პოლიტიკას შესადარისი ინფორმაციისათვის, წარსულში წარდგენილ პერიოდთან ყველაზე ადრეულისათვის, როცა ეს შესაძლებელია. ჩვეულებრივ, კორექტირდება

გაუნაწილებელი მოგება, ასევე შეიძლება შეიცვალოს კაპიტალის სხვა კომპონენტებიც.

ფასს (IFRS) 16-ის მიღება კომპანიისგან მსჯელობების გაკეთებას მოითხოვს, რომლებიც თავის მხრივ იმოქმედებს საიჯარო ვალდებულებებისა და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის შეფასებაზე. ეს მოიცავს: ხელშეკრულების პირობების განსაზღვრას (IFRS) 16-ის ფარგლებში და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრას.

გარიგებების პირობების შეფასების საფუძველზე, კომპანიამ განსაზღვრა, რომ იჯარა „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“ ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში ხვდება. იჯარა 48 წლიანია და მას ვადა 2055 წლის 30 ივნისს გასდის. კომპანიამ ეს პერიოდი გამოიყენა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის. დისკონტირებისთვის გამოყენებულ იქნა მშობელი კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რადგან ტერმინალი ვარაუდობს რომ ნებისმიერ დამატებით სახსრებს, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება მშობელი კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

ახალი სტანდარტის მიღებასთან დაკავშირებული განსჯა გავლენას ახდენს იჯარის აღრიცხვაზე და მას შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცხრილი № 3

ფასს (IFRS) 16-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე იყო შემდეგი:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	რეკლასიფი- კაციაზე	ფასს (IFRS) 16-ის ვადაზე ადრე მიღების გავლენა	გადაანგარიშ- ბული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17,862,355	–	17,862,355
აქტივის გამოყენების უფლება	–	20,904,128	20,904,128
არამატერიალური აქტივები	611,995	–	611,995
	18,474,350	20,904,128	39,378,478

მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,074,397	–	1,074,397
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,148,180	–	1,148,180
გადახდილი ავანსები	569,360	–	569,360
წინასწარ გადახდი გადასახადები	2,636,964	–	2,636,964
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	2,489,703	–	2,489,703
	7,918,604	–	7,918,604
სულ აქტივები	26,392,954	20,904,128	47,297,082
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200	–	200
გაუნაწილებელი მოგება	13,334,214	(5,965,839)	7,368,375
საკურსო სხვაობის რეზერვი	(173,574)	101,760	(71,814)
	13,160,840	(5,864,079)	7,296,761
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული	3,314,658	(3,314,658)	–
საიჯარო ვალდებულება (ფასს (IFRS) 16)	–	31,249,036	31,249,036
	3,314,658	27,934,378	31,249,036
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული	4,234,705	–	4,234,705
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული	1,166,171	(1,166,171)	–
მოგების გადასახადის დავალიანება	1,493,601	–	1,493,601
ანარიცხები	3,022,979	–	3,022,979
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26,392,954	20,904,128	47,297,082

ცხრილი № 4

ფასს (IFRS) 16-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე იყო შემდეგი:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	რეკლასიფი-კაციაშე	ფასს (IFRS) 16-ის ვადაზე ადრე მიღების გავლენა	გადაანგარიშებული
შემოსავალი ოპერაციებიდან	17,621,069	–	17,621,069
საიჯარო შემოსავალი	18,200	–	18,200
საოპერაციო შემოსავალი	17,639,269	–	17,639,269
ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯი	(3,020,992)	1,681,061	(1,339,931)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,277,717)	(551,540)	(2,829,257)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,366,787)	–	(4,366,787)
შრომითი დანახარჯები	(3,659,402)	–	(3,659,402)
საოპ. საქმიანობიდან მიღებული მოგება	4,314,371	1,129,521	5,443,892

ფინანს. საქმიანობაზე გაწეული	–	(2,115,779)	(2,115,779)
ფინანს. საქმიან. მიღებული შემოსავალი	74,387	–	74,387
საკურსო სხვაობის წმინდა ზარალი	(159,262)	–	(159,262)
სხვა არასაოპერაციო მოგება	151,542	–	151,542
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(33,686)	–	(33,686)
დასაბეგრი მოგება	4,347,352	(986,258)	3,361,094
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–
წლის მოგება	4,347,352	(986,258)	3,361,094
საკურსო სხვაობ ვალუტის კონვერტაციისას	(173,574)	101,760	(71,814)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	4,173,778	(884,498)	3,289,280

აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების საბოლოო ნაშთები :

	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	20,904,128	31,249,036
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(575,700)	–
სატრანსპორტო აღჭურვილობა	–	(2,028,255)
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და	–	2,208,459
სხვადასხვა აღჭურვილობა	633,653	1,056,217
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	20,962,081	32,485,457

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ტერმინალი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას (Right of use asset, ROUA) და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოადგენს მოიჯარის უფლებას, საიჯარო აქტივი გამოიყენოს იჯარის ვადის განმავლობაში. იგი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და მოიცავს:

- ▶ საწყის შეფასებას საიჯარო ვალდებულებისა;
- ▶ საიჯარო ვადის დაწყებამდე განხორციელებულ წინასწარ გადახდებს
- ▶ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა მოიჯარის მიერ
- ▶ საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის შეფასებით თანხას

აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასებისას, თვითღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება თავდაპირველი შეფასების თანხა.

ბათუმის კონტეინერების ტერმინალი საიჯარო ვალდებულებას აფასებს ლიზინგის ვადის მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო თანხების მიმდინარე, დისკონტირებული ღირებულებით. დისკონტირება ხორციელდება მშობელი კომპანია „International Container Terminal Services inc.“ -ის მიერ მოწოდებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც წარმოადგენს ამერიკის სააზიზინო ობლიგაციების (ურისკო) საპროცენტო განაკვეთისა და საკრედიტო სპრედის ჯამს. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება მოიცავს

- ▶ ფიქსირებულ პერიოდულ გადასახდელებს, შეღავათების გამოკლებით
- ▶ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.
- ▶ აქტივის ნარჩენი ღირებულების გარანტიის თანხას

- ▶ შესყიდვის ოფციის ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, ეს უფლება გამოყენებულ იქნება
- ▶ ჯარიმის თანხებს, იჯარის ვადაზე ადრე შეწყვეტისას

საიჯარო ვალდებულების შემდგომი შეფასებისას ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომლის დროსაც საბალანსო ღირებულებას ემატება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის თანხა, აკლდება საიჯარო გადასახდელებით და ხელახლა ფასდება საბალანსო ღირებულების ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. საწარმოს მარაგების სწორ და დროულ აღრიცხვას, მათ სათანადო დაცვა-შენახვას და რაციონალურ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლებისათვის.

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები (თვითღირებულებით)	994,367	980,678
საწვავი, საპოხი მასალები (თვითღირებულებით)	97,587	93,719
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	1,091,954	1,074,397

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ მარაგები შედგება სათადარიგო, საწვავი და საპოხი მასალებისგან, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით და მოიცავს :

- ▶ მათი ნასყიდობის ფასს

- ▶ საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს)
- ▶ სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს
- ▶ იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მასალებისა და მომსახურების შეძენასთან სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების გამოკლებით.

საკონტეინერო ტერმინალის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გასვლისას ხარჯებად აღიარდება „ პირველი შემოსული პირველად გასული“ (FIFO) მეთოდის გამოყენებით. ფიფო მეთოდით მარაგების შეფასებისას, გასათვალისწინებელია მეთოდის დაშვება, რომ პირველად იხარჯება პირველად შეძენილი პარტიის ერთეულები. შესაბამისად, მარაგების ნაშთი უნდა შეფასდეს ბოლოს შესყიდული ერთეულების ღირებულებით. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მიჩნეულია რომ მარაგების ღირებულება მიახლოებულია მის რეალურ ღირებულებასთან.

სავაჭრო-დებიტორული დავალიანებები. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების წარმოქმნა ძირითად დაკავშირებულია ვაჭრობასთან და ამდენად პრაქტიკაში სავაჭრო მოთხოვნის სახელითაა ცნობილი.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურებისა და არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს:

- ▶ დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები;
- ▶ ხელშეკრულების ძირითადი პირობების დარღვევა;
- ▶ გარემოება როდესაც ტერმინალი, დებიტორის ფინანსური სიძნელების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომელსაც სხვა

შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

- ▶ დებიტორის გაკოტრება, რეორგანიზაციის პროცესი;
- ▶ სხვა ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა დებიტორის ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარი. თუმცა ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მაგალითად, ეროვნული ან დარგში არსებული არახელსაყრელი პირობები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,602,770	1,712,419
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(581,401)	(564,239)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,021,369	1,148,180

2018 წლის 31 დეკემბრისთვის 581,401 ლარის თავდაპირველი ღირებულების მქონე სავაჭრო დებიტორული დავალიანებები იყო ინდივიდუალურად გაუფასურებული და სრულად დარეზერვებული. სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთს პროცენტი არ ერიცხება და წარმოშობიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	12,702,280	2,488,536
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	4,737	1,167
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სულ	12,707,017	2,489,703

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ ფულად სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებს ბანკში. ფული ბანკში გულისხმობს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 2018 წელს შეადგენს 116,735 ლარს.

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გადინებისა და შემოდინების ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის. ამჟამად კომპანიის არცერთი ფინანსური ვალდებულება არ არის ვადაგადაცილებული და დასაფარია სამი თვის ვადაში. კომპანიის მიზანია ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების დროულად ამოღებითა და კრედიტორებისგან მიღებული კრედიტის გამოყენებით.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაბრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულისა და ანაბრების საბალანსო ღირებულება 12,707,017 ლარის ოდენობით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები (მიმდინარე)	2,953,136	3,617,714
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	419,630	479,387
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	–	137,604
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,372,766	4,234,705

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. სავაჭრო ვალდებულებები, რომელსაც კრედიტულ ვალდებულებებს უწოდებენ მიეკუთვნება მიმდინარე

ვალდებულებებს. ასეთი ვალდებულებები წარმოიშობა მაშინ როცა საწარმო მომწოდებლებისგან შეიძენს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს ან მომსახურებას. შეძენა შეიძლება მოხდეს მომწოდებლისთვის ფულის წინასწარ, შეძენისთანავე ან შემდგომი გახადებით. შემდგომი გადახდით შეძენა გულისხმობს გადახდის გადავადებას ხელშეკრულების ვადით და პირობებით და მას კრედიტით შეძენას უწოდებენ.

ბასს 37-ის მიხედვით სავაჭრო გადასახდელი არის მიღებული ან მოწოდებული საქონლის ან მომსახურების ვალდებულება, რომელზეც მიღებულია ანგარიშ-ფაქტურა ან ოფიციალურად შეთანხმებულია მომწოდებელთან. სავაჭრო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როცა შეძენილ ფასეულობაზე ყველა რისკი და სარგებელი გადადის მყიდველის ხელში.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ სავაჭრო ვალდებულებების დიდი ნაწილი წარმოშობილია უცხოურ ვალუტაში, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტაში, ლარში ოპერაციის შესრულების დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა კომპანიის ოპერაციებისთვის.

სხვა სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხების მიმდინარე ნაწილს. დაკავშირებული მხარე არის კომპანია ან ადამიანი დაკავშირებული იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს.

პიროვნება, ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა კომპანიის დაკავშირებულ მხარედ თუ :

- ▶ ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს, ან
- ▶ მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე
- ▶ არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი

ორგანიზაცია მიიჩნევა დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს :

- ▶ ორივე საწარმო არის ერთი და იმავე ჯგუფის წევრი
- ▶ ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო
- ▶ ორივე საწარმო წარმოადგენს მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს

ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მოითხოვს რომ კომპანიებმა ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში აჩვენონ დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ურთიერთობების ხასიათი, წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანზაქციები და პერიოდის ბოლოს დარჩენილი დასაფარი ან მისაღები ნაშთები. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია, რათა სათანადოდ შეფასდეს დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ურთიერთობების პოტენციური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი შენიშვნის მინიმალური მოთხოვნები შემდეგია:

- ▶ ოპერაციის მოცულობა
- ▶ წლის ბოლოს არსებული ნაშთების მოცულობა, დაფარვის პირობებისა და ვადების მითითებით
- ▶ დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საექვო ვალების ანარიცხები
- ▶ დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებული ხარჯები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

ცხრილი № 5

წელი/ კომპანიის დასახელება	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	შემოსავალი დაკავშირებული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	ვალდებულება დაკავშირებუ- ლი მხარეების მიმართ
2018				
„Baltycki	74,943	-	-	-
„ICTSI inc.“	-	-	-	755,613
„ICTSI Georgia	-	-	-	2,197,162
შპს „ICTSI“	-	-	-	5,034
შპს „ICTSI“ –	112,674	-	-	417,375
2017				
ტერმინალი	-	214,000	-	-
„ICTSI inc.“	963	-	-	355,264
„ICTSI Georgia	-	-	-	2,953,136
შპს „ICTSI“ –	329,453	-	-	304,701
შპს „ICTSI“	-	-	-	114,273

ანარიცხები. ანარიცხი ისეთი ვალდებულებებია, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ ანარიცხები უმეტესად უკავშირდება საგადასახადო შემოწმების შედეგებს, რომლებიც 2008-2014 წლებს უკავშირდებოდა. 2014 წლის 12 და 16 დეკემბერს კომპანიამ მიიღო საგადასახადო შემოწმების აქტები, რომლებითაც საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მას დააკისრა დამატებითი გადასახადები და ჯარიმა, 2008-2014 წლებისთვის 2,867,000 ლარის (რაც მოგვიანებით შემცირდა 2,464,000 ლარამდე) (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკვივალენტი 1,104,340 აშშ დოლარი) ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი. თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. ხელმძღვანელობის შეფასებით, 581,401 ლარი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის ყველაზე ზუსტი შეფასებაა.

2.2 სრული შემოსავლების ანგარიშგება

ცხრილი № 6

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ სრული შემოსავლების ანგარიშგება

	2018	2017 (გადაანგარიშებული*)
შემოსავალი ოპერაციებიდან	23,674,765	17,621,069
საიჯარო შემოსავალი	16,017	18,200
საოპერაციო შემოსავალი	23,690,782	17,639,269
ტექნიკასთან დაკავშირებული ხარჯი	(1,644,200)	(1,339,931)

ცვეთა და ამორტიზაცია	(2,646,100)	(2,829,257)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,336,138)	(4,366,787)
შრომითი დანახარჯები	(3,812,094)	(3,659,402)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	14,252,250	5,443,892
ფინანს. საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	116,735	74,387
ფინანს. საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(2,142,323)	(2,115,779)
საკურსო სხვაობის წმინდა ზარალი	(206,314)	(159,262)
სხვა არასაოპერაციო მოგება	31,858	151,542
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(11,479)	(33,686)
დასაბეგრი მოგება	12,040,727	3,361,094
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება	12,040,727	3,361,094
საკურსო სხვაობა ვალუტის კონვერტაციიდან	716,907	(71,814)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	12,757,634	3,289,280

შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი კონტეინერის ჩატვირთვიდან	14,985,420	10,898,833
შემოსავალი კონტეინერების შენახვიდან	5,523,980	612,185
სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	3,165,365	6,110,051
სულ შემოსავალი	23,674,765	17,621,069

ტერმინალის შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია

შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

მრავალეემენტური ხელშეკრულებების დროს კომპანია თითოეულ მომსახურებას ცალკე აღრიცხავს, თუ მათი გამიჯვნა შესაძლებელია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ პრაის-ლისტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კომპანია კონტეინერების ჩატვირთვის და სხვა მომსახურებას უწევს თავის კლიენტებს.

კომპანია თავის კლიენტებს უწევს კონტეინერების ჩატვირთვის, შენახვის და სხვა მომსახურებას. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოიქმნება თითოეული გაწეული მომსახურებისთვის განსაზღვრული გასამრჯელოდან. ამ შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილებისთანავე.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

ხარჯები

ტექნიკისა და აღჭურვილობის ხარჯი

	2018	2017
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	687,806	536,631
საწვავის ხარჯები	619,613	507,237
კომუნალური მომსახურება	222,71	185,064
სხვა	114,063	110,999

სულ ხარჯი

1,644,200

1,339,931

ვინაიდან ტერმინალის ქონების დიდ ნაწილს ძირითად საშუალებები წარმოადგენს, ბუნებრივია ისინი ყოველწლიურად საჭიროებენ მოვლა-შენახვას, შესაბამისად ტექნიკა და აღჭურვილობის ხარჯების უმრავლესობას როგორც 2018 ისე 2017 წელს მისი შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო საწვავის ხარჯი შეადგენდა.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
სხვა	494,539	396,464
დაცვა-უსაფრთხოება	181,567	175,491
დაზღვევა	176,092	164,975
სხვა გადასახადები	119,181	132,195
პროფესიული მომსახურება	110,600	231,459
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	91,269	128,924
ზოგადი საოფისე ხარჯები	83,001	75,778
პროგრამული უზრუნველყოფა და საოფისე	77,056	208,270
გადასახადებისთვის შექმნილი ანარიცხის ხარჯი	2,833	2,853,231
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	1,336,138	4,366,787

როგორც ცხრილის მოცანაცემებიდან ჩანს, ადმინისტრაციული ხარჯების ისეთი ძირითადი მუხლები, როგორებიცაა დაცვის, დაზღვევისა და პროფესიული მომსახურებები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი ხარჯები წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, გარდა ერთი გამონაკლისის - საგადასახადო ანარიცხის ხარჯისა.

როგორც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, აღნიშნული ანარიცხის შექმნა უკავშირდება შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებულ საგადასახადო

შემოწმებას, რომლის შედეგადაც კომპანიას დაეკისრა დამატებითი გადასახადებისა და დარიცხული ჯარიმების გადახდა.

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, რომლებსთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა წინა ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება 2017 წლიდან არ იბეგრება მოგების გადასახადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 103-ე ნაწილის თანახმად, 2008-2016 წლების პერიოდების მოგების განაწილება რეზიდენტ კომპანიაზე, რომელიც 2017 წლის 1 იანვარისთვის გაუნაწილებელია, ასევე ითვლება მოგების განაწილებად და, შესაბამისად, იბეგრება გადასახადით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს.

2.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ცხრილი № 8

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	4,007,281	–	4,007,481
წლის მოგება	–	3,361,094	–	3,361,094
შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	–	–	(71,814)	(71,814)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	7,368,375	(71,814)	7,296,761
წლის მოგება	–	12,040,727	–	12,040,727
შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	–	–	716,907	716,907
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	19,409,102	645,093	20,054,395

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, კაპიტალის მუხლებში გარდა გაუნაწილებელი მოგებისა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. თავის მხრივ, გაუნაწილებელი მოგების ზრდის განმაპირობებელი იყო შემოსავლების საგრძნობი ზრდა გასულ პერიოდთან შედარებით რომელმაც 8,033,446 (12,040,727-4,007,281) ლარი შეადგინა. 2018 წელს ადგილი არ ჰქონია არც კაპიტალურ შენატანებს და არც დივიდენდების განაწილებას.

2.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ცხრილი № 7

შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
წმინდა მოგება	12,040,727	3,361,094

<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა</i>		
<i>ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,844,287	1,966,978
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	575,700	551,540
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	335,060	310,739
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	(33,170)	(151,542)
დაკისრებული გადასახადებისთვის შექმნილი ანარიცხები	-	2,853,231
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	2,230,527	2,115,779
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	(121,541)	(74,387)
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობაში საკურსო სხვაობის ზარალი	(113,564)	128,565
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ	16,758,026	11,061,997
კაპიტალში ცვლილებებამდე		
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები		
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	15,012	108,304
ცვლილება გადახდილ ავანსებში	135,997	(119,179)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	161,615	(603,080)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(562,015)	213,218
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	422,047	(8,201,826)
ცვლილება ანარიცხებში	(118,568)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(6,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	16,812,114	2,453,434
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,409,960)	(423,438)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	33,170	997,241
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(137,000)
მიღებული პროცენტი	-	74,387
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,376,790)	511,190
ფინანსური საქმიანობა		
საიჯარო გადასახდელები	(1,941,338)	(1,911,415)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,941,338)	(1,911,415)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	9,493,986	1,053,209
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის მდგომ.	2,489,703	1,365,041
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და ეკვივ.	723,328	71,453
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგ	12,707,017	2,489,703

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები კომპანიამ წარადგინა არაპირდაპირი მეთოდით. კერძოდ, პირველ რიგში მან წმინდა მოგება დააკორექტირა არაფულადი მუხლებით და მიიღო საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე, რის შემდეგაც მან

გაითვალისწინა საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები და განსაზღვრა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები.

2018 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი იყო 16,812,114 ლარი, ხოლო 2017 წელს - 2,453,434 ლარი. ცვლილება ძირითადად განპირობებულია წმინდა მოგების ზრდით 2018 - 12,040,727 ლარი; 2017- 3,361,094 ლარი. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საწარმოს შეფასებისას ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად გვევლინება, რადგან სწორედ ის გვიჩვენებს კომპანიის ძირითადი ოპერაციებიდან შემოვიდა თუ არა საჭირო ოდენობის თანხები კომპანიაში აღებული სესხების გასასტუმრებლად, დამატებითი ინვესტიციების გასაკეთებლად, აქციონერებისთვის დივიდენდის გადასახდელად გარე წყაროებიდან დამატებითი ფინანსების მოზიდვის გარეშე.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი 2018 წელს იყო უარყოფითი და შეადგენდა 5,376,790 ლარს, რომლის უდიდესი ნაწილი მოიცავდა ძირითადი საშუალებების შეძენას. ფულადი ნაკადების საინვესტიციო საქმიანობის განყოფილება საკმაო ინფორმაციას გვაწვდის კომპანიის პერსპექტივების შესახებ, ვინაიდან მასში აისახება ის დანახარჯები, რომლებმაც მომავალში ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში, შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები. აღსანიშნავია რომ ისეთი ხარჯები, რომლებიც არ იწვევს აქტივის აღიარებას ბუღალტრულ ბალანსში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საინვესტიციო ნაწილში ვერ აისახება.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები 2018 წელს უარყოფითი იყო და 1,941,338 ლარი შედგინა. იგი მხოლოდ ერთი ქვეპუნქტს, საიჯარო გადასახდელების მოიცავს და მისი თანხობრივი მოცულობა გასული პერიოდის მსგავსია.

საბოლოოდ, 2018 წელს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდამ შეადგინა 9,493,986 ლარი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის მონაცემს - 1,053,209 ლარს.

ანალიზის საფუძველზე ირკვევა რომ, 2018 წელს კომპანიის შესაძლებლობა მოახდინოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავება მნიშვნელოვნად გაზარდილია გასულ პერიოდთან შედარებით.

ცხრილის მარჯვნივ სვეტში მოცემული 2017 წლის მონაცემები საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ მნიშვნელოვანი ცვლილებები. გარდა ისტორიული მონაცემების ანალიზისა, ფულადი ნაკადების ანგარიშგება ერთგვარ საპროგნოზო ფუნქციასაც ასრულებს. მაგალითად, 2018 წელს ტერმინალის საინვესტიციო საქმიანობის ნაწილში იკვეთება მილიონობით ლარის განხორციელებული კაპიტალდაბანდებები, რაც გვაფიქრებინებს რომ კომპანიის სურს მომავალში გაზარდოს საქმიანობების მასშტაბები, ან გახადოს იგი უფრო მრავალფეროვანი. თუ განხორციელებული ინვესტიცია წარმატებული აღმოჩნდება, ფულადი ნაკადების გენერირების პროცესი კიდევ უფრო დააჩქარდება და გაიზრდება მომავალ წლებში, რაც ბათუმის საკონტინერო ტერმინალს ერთ-ერთ მიმზიდველ კომპანიად აქცევს თავის სფეროში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისას უდიდეს მნიშვნელობას ატარებს მისი განხილვა სხვა ანგარიშგებებთან (მაგალითად, სრული შემოსავლების ანგარიშგებასთან) ერთად რათა დადგინდეს კორელაცია კომპანიის მომგებიანობასა და ფულადი ნაკადებს შორის. 2018 წელს ტერმინალის წმინდა მოგება 12,040,727 ლარი იყო, ხოლო ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა - 9,493,986 ლარი, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიამ შეძლო გამომუშავებული შემოსავლის 78% ის ნაღდ ფულად გარდაქმნა, ეს კი მის შიგნით არსებულ ძლიერ კორპორატიულ მმართველობაზე მიანიშნებს. გამორიცხავს რა ფულადი ნაკადების ანგარიშგება იმ გავლენას, რაც შეიძლება მოჰყვეს ერთი და იმავე ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებული მიდგომების გამოყენებას, იგი ზრდის სხვადასხვა კომპანიების საქმიანობის შედეგების შესადარისობას.

დასკვნა

ნაშრომში დეტალურად შესწავლილ იქნა შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტინერო ტერმინალის“ ფინანსური ანგარიშგებები.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგებები მთლიანად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რაც დადასტურებულია ე.წ დიდი ოთხეულის ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის, შპს „იუ აი საქართველოს“ მიერ. 2017-2018 წლების პერიოდში, ყოველ წელს, კომპანიას მიღებული აქვს უპირობო აუდიტორული დასკვნა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კვლევის შედეგად ინდივიდუალურ მუხლებში მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოიკვეთა, თუმცა ინდუსტრიის ხასიათიდან გამომდინარე, ვინაიდან ოპერაციების დროს ძირითადად ადგილი აქვს ნაღდი ფულის მიმოქცევას, ტერმინალს ვურჩევდი ფულადი ნაკადების ანგარიშგების პირდაპირი მეთოდით მოემზადებინა. ვფიქრობ რომ ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვისაც უფრო მარტივად აღსაქმელი და გასაგები იქნებოდა აღნიშნული მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რადგან ამოღებული იქნებოდა არაფულადი მუხლების გავლენა, რაც ხშირად სრულიად უსარგებლო ინფორმაციას წარმოადგენს.

ასევე სასურველია რომ კომპანიის ფინანსური მენეჯმენტი უფრო მეტად ერკვეოდეს ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში, რადგან საკვლევ პერიოდში იჯარის ახალი სტანდარტის („ფასს 16“-ის) ვადაზე ადრე მიღების დროს გამოიკვეთა კომპეტენციის გარკვეული სისუსტეები, რის აღმოფხვრაშიც კომპანიას აუდიტორული ფირმა შპს „იუ აი საქართველო“ დაეხმარა.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბასს (2020), ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო.
- 2) ბასს 1 (2020), ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.
- 3) ბასს 2 (2003), მარაგები.
- 4) ბასს 7 (2017), ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
- 5) ბასს 8 (2020), სააღრიცხვო შეფასება, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები.
- 6) ბასს 16 (2020), ძირითადი საშუალებები.
- 7) ბასს 24 (2013), დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.
- 8) ბასს 37 (2020), ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
- 9) ბასს 38 (2014), არამატერიალური აქტივები.
- 10) ფასს 16 (2020), იჯარა.
- 11) კორპორაციული ანგარიშგება, ლექციების კურსი, კვატაშიძე ნადეჟდა. თბ. 2019.
- 12) ლიპარტია ზ. ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში. მონოგრაფია. თბ. 2017.
- 13) ხარაბაძე ე. ფინანსური აღრიცხვა (II დონე). თბ. 2019.
- 14) ACCA, Financial Reporting, BPP Learning Media Study Text, 2019.
- 15) ACCA, FR Technical articles, Accounting for property, plant and equipment.
- 16) ACCA, FR Technical articles, IFRS 16, Leases.
- 17) ACCA, FR Technical articles, Provisions, contingent liabilities and contingent assets.
- 18) <https://www.iasplus.com/en/standards>
- 19) <https://www.bict.ge/>
- 20) <https://reportal.ge/>